

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

შავლეგ ურუშაძე

ზემო სვანეთის ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება,
მათი რუკათშედგენა და გეოინფორმაციული ანალიზი

გეომორფოლოგია კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის აკად. დოქტორი, რომან მაისურაძე

თბილისი 2013

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ზემო სვანეთის რეგიონს, მესტიის მუნიციპალიტეტს. ნაშრომის აქტუალობა თვალნათელია, რეგიონის ძალიან მაღალი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გათვალისწინებით, ტურისტული ინდუსტრიის განვითარება რეგიონში გულისხმობს ტურიზმის სხვადასხვა ფორმების განვითარებას, მათ შორის ეკოტურიზმის, სათავგადასავლო (ექსტრემალური) ტურიზმის და საფეხოსნო-საცხენოსნო მარშრუტების შემუშავებას, რომელიც შესაძლოა მოემსახუროს ტურისტთა სხვადასხვა მოცულობის ნაკადებს. მარშრუტების სირთულის, დროითი მომცველობის და ღირსშესანიშნაობის ანალიზი შესაძლებელია გაკეთდეს კომპლექსური გეოგრაფიული კვლევის შედეგად და კარტოგრაფიული მიდგომით, რომელიც თავისთავად გულისხმობს თანამედროვე გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ნაშრომის მიზანია: ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება და ოპტიმალური მარშრუტების დადგენა, მათი შეფასება ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით და მათი ამსახველი გეოინფორმაციული სისტემის შედგენა. გეოინფორმაციული ანალიზი და მიღებული შედეგების შეფასება.

ნაშრომის ამოცანებია, ველზე იქნეს შესწავლილი აღნიშნული ახალი მარშრუტები, დადგინდეს მათი სინტერესობა და მნიშვნელობა, კულტურული მემკვიდრეობის, ლანდშაფტური და ბიომრავალფეროვნების, ბუნების ძეგლების და სხვა ღირსშესანიშნაობების მიხედვით, შეფასდეს მათი სირთულე და დროში განგრძობადობა და მომზადდეს მათი შესაბამისი რუკები.

ნაშრომის მომზადებისათვის გამოყენებულია გეოინფორმაციული ტექნოლოგიები და კარტოგრაფიული მეთოდები.

მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, ნაშრომის შედეგებით შესაძლოა ისარგებლოს როგორც ტურიზმის დეპარტამენტმა, ისე კერძო ტურისტულმა კომპანიებმა და კერძო ჯგუფებმა.

Annotation

Master's Thesis includes the Upper Svaneti region of Mestia district. The actuality is obvious, taking into account the region's high tourist - recreational potential. Development of tourism industry in the region implies developing other types of tourism, such as eco-tourism, adventure (extreme) tourism and making hiking or riding routes that can be used by the different streams of tourists. The analysis of the routes difficulty, temporal variability and sightseeing can be done for complex geographic and cartographic survey approach, which implies the use of GIS technology.

The aim is: To develop new tourist routes and to determine the optimal routes; Evaluation of natural sights and cultural heritage; To make geo-information systems; GIS analysis and evaluation of results.

The objectives of thesis is to study the routes on the field in region, to determine their importance for landscape and bio diversity, for natural monuments and other sights, to evaluate of their difficulty and temporal variability, to make the relevant maps.

GIS technologies and cartographic methods are used in the preparation of the thesis.

The obtained results can be used for the development of the tourism industry in the region. The results of the work may benefit both the tourism department and private companies and private groups.

შინაარსი (სარჩევი)

შესავალი	6
თავი I. ტურიზმის ძირითადი ცნებები, ფუნქციები და სახეები	
1.1 ტურიზმი, ძირითადი ცნებები	9
1.2 ტურიზმის ძირითადი ფუნქციები და სახეები	11
თავი II. ტურიზმი საქართველოში, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები	14
თავი III. ზემო სვანეთის კომპლექსურ-გეოგრაფიული დახასიათება	
3.1 მდებარეობა და საზღვრები	17
3.2 მოკლე ზოგადგეოგრაფიული დახასიათება	19
3.3 რელიეფი და გეოლოგიური აგებულება	20
3.4 ჰავა	23
3.5 ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება	24
3.6 ტურისტული პოტენციალის მოკლე დახასიათება	26
თავი IV. ზემო სვანეთის ახალი ტურისტული მარშრუტები	29
მარშრუტი 1. სოფ. ხაიში – დალარის უღ.	30
მარშრუტი 2. მესტია – გული – სოფ. მაზერი – ბეჩოს უღ.	32
მარშრუტი 3. მესტია – სოფ. ჟაბეში – მ. ტიხტენგენის ძირი.	34
მარშრუტი 4. მესტია – სოფ. წვირმი – სოფ. ადიში – ლარდაადის (ადშის) მყინვარი	36

მარშუტი 5. მესტია – ადიში – ხალდე – უშგული – მყინვარი შხარა – ნამყვამის ტბა 38

მარშუტი 6 (1) მესტია – მყ. ლეხზირი – თოთის უღ. – მყ. ტვიბერი – სოფ. ჟაბეში 41

(2) მესტია – მყ. ლეხზირი – ბაშილის უღ. – მყ. ძინალი – სოფ. ჟაბეში 41

მარშუტი 7 სოფ. ხაიში – სოფ. უსგვირი – სოფ. ყვანა – მყ. ლაილა – სოფ. ლეზგარა 45

დასკვნა 48

გამოყენებული ლიტერატურა 49

შესავალი

XXI საუკუნეს ხშირად ტურიზმის საუკუნედ მოიხსენიებენ, რადგანაც უკანასკნელ პერიოდში უფრო და უფრო იზრდება ადამიანების მოთხოვნილება ტურისტულ და რეკრეაციულ საქმიანობაზე. მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა ტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა და ეს დარგი მათთვის ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად გადაიქცა.

საქართველო, შეიძლება ითქვას, ტურიზმის განვითარების საწყის ეტაპზეა. აღსანიშნავია, რომ ტურიზმი სახელმწიფოსთვის ყოველთვის რჩება ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი სუფსიდიები გამოიყოფა. თუმცა, რა თქმა უნდა, აუცილებელია სწორად იქნას დაგეგმილი ტურიზმის პოლიტიკა და განსაზღვრული იქნას ის ძირითადი მიმართულებები, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ამ დარგის განვითარება სახელმწიფოში. უდავოა, რომ ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის თვალსაზრისით საქართველო საკმაოდ მდიდარია და იპყრობს სულ უფრო და უფრო მეტი ვიზიტორის ყურადღებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამაზე ტურისტთა რიცხვის ყოველწლიური ზრდაც მიუთითებს. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მიმზიდველ ფაქტორს წარმოადგენს რელიეფური თავისებურება. შავი ზღვის სანაპიროს და კავკასიონის თოვლიანი მთათა სისტემის შერწყმა არის ის უმთავრესი ბუნებრივი ფაქტორი, რომელიც მნახველთათვის საქართველოში სტუმრობის ძირითად მოტივაციას წარმოადგენს. სწორედ ამ მოტივაციის იდეალურად დაკმაყოფილებაა შესაძლებელი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ტურისტული თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთულია ანუ მაღალია ვიზიტორთა ყოველწლიური რაოდენობა. ამაში თავისი მიმზიდველი წვლილი მიუძღვის ზემო სვანეთის ულამაზეს რეგიონს, რომელიც მდიდარია ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანსაიშაობებით. განსაკუთრებული მიმზიდველობა გააჩნია სვანეთის ულამაზეს მდინარეთა ხეობებს, თოვლიან მწვერვალებს, ხეობებში ჩამოწოლილ მყინვარებს, მინერალურ წყლებს. ამ ყველაფერთან სპეციფიკური არქიტექტურული ფორმების – სვანურის კომპლექსის შერწყმა მნახველთათვის ულამაზეს ეფექტს ქმნის, რის გამოც სვანეთის მხარეს ბოლო წლების განმავლობაში არ აკლდება ტურისტთა რაოდენობა. რეგიონის ტერიტორია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად არის ათვისებული და შემუშავებულია მრავალი საინტერესო ტურისტული მარშუტი. თუმცა მივიჩნევთ, რომ პოტენციური გაცილებით მაღალია და კიდევ უამრავი საინტერესო ტურისტული ღონისძიების

დაგეგმვა–განხორციელებაა შესაძლებელი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მოცემული ნაშრომი. ეს არის მცდელობა კონკრეტული ნაბიჯით გარკვეული წვლილი იქნას შეტანილი რეგიონში ტურიზმის განვითარებაში. ეს ნაბიჯი გულისხმობს ტურისტებისთვის შედარებით უცხო და ახალი მარშრუტების შეთავაზებას. ნაშრომის მიზანია, გააცნოს მკითხველს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ნაწილი, რომელზეც ამჟამად შედარებით ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ზოგადი ინფორმაციის არ ქონა. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მცირე მიწიანი ტერიტორია არც თუ მწელად ასათვისებელია ტურისტული თვალსაზრისით. ანუ, ნაშრომი არ გულისხმობს სრულიად ახალი და ყველასთვის უცნობი ტერიტორიის, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) „აღმოჩენას“ და მათ ტურისტულ პოპულარიზაციას. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს გარკვეული სიახლის ძიებასთან რაც გულისხმობს ნაცნობი, თუმცა ტურისტული თვალსაზრისით ნაკლებად დატვირთული ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე შემოსული სტუმრებისთვის.

ნაშრომის ძირითად ნაწილში შეძლებისდაგვარად დეტალურად არის განხილული გარკვეულ, ჩვენი აზრით საინტერესო, ტურისტული მარშრუტების სხვადასვა მახასიათებლები. ისეთები როგორცაა: რელიეფის შემადგენელი კომპონენტების აღწერა, სხვადასხვა დასახლებული პუნქტების, მდინარეთა ხეობების, მყინვარების ენების, მწვერვალთა ფერდობების სიმაღლეების განსაზღვრა, და ზოგადად ყველა იმ ინფორმაციის მიწოდება ნაშრომის პოტენციური მომხმარებლისათვის, რომელიც აუცილებლად საჭიროა აღნიშნული ტურისტული მარშრუტების გამოყენების შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციის მხოლოდ თეორიული სახით გადმოცემა რთული იქნება აღსაქმელად. ამიტომაც ნაშრომის ფარგლებში იყო მნიშვნელოვანი მცდელობა ამ ყველაფრის ვიზუალიზაციის, რაც გულისხმობს თითოეული მარშრუტისათვის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით რუკების შედგენას.

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული კვლევა წარმოადგენს სიახლეს და აქამდე არ ყოფილა მცდელობა აღნიშნული თემის ირგვლივ მსაგავსი სახის რაიმე შრომის ჩატარების. სფეციფიკაში ვგულისხმობთ იმას, რომ საკვლევი ტერიტორია ინდივიდუალურად იყო ჩვენს მიერ შერჩეული, (სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით) ანუ მინიმალურია სხვა მსაგავსი სახის კვლევასთან ნაშრომის იდეტურობა.

ვითვალისწინებთ რა, ზემოთ აღნიშნულ გარემოებას რეგიონის ტურისტული ათვისებულობის შესახებ, ვაღიარებთ, რომ რამოდენიმე შემთხვევაში გარკვეული ტერიტორია არ იქნება ახალი და ფართო მასებისთვის ნაკლებად ცნობილი. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში მარშუტი ემთხვევა საკმაოდ ცნობილ და ტურისტულად ათვისებულ ტერიტორიას თუმცა ეს ხდება მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთზე და დანარჩენი ნაწილი არის ახალი და ჩვენს მიერ შემუშავებული.

ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია საქართველოს ტოპოგრაფიულ რუკებზე არსებული ინფორმაცია, ხოლო ის ბუნებრივი თუ ანთროპოგენური კომპონენტები, რომლებიც მარშუტების ფარგლებში წარმოდგენილია როგორც ტურისტული ატრაქციები, ჩვენს მიერ არის შემუშავებული იმ ძირითადი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც უჩნდება და შესაძლოა მომავალში გაუჩნდეს სხვადასხვა სახის ტურისტულ ჯგუფებს, რომლებიც მოაზრებიან ნაშრომის შედეგების ძირითად პოტენციურ მომხმარებლებად. გარდა რუკებისა, მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომელიც ჩვენს მიერ უშუალოდ რეგიონში, უშუალოდ იმ ტერიტორიაზე იქნა მოპოვებული, რომელიც ხვდება რამოდენიმე მარშუტის ფარგლებში. ველზე იქნა გადაღებული ასევე წარმოდგენილი ფოტომასალის ძირითადი ნაწილი.

თავი I. ტურიზმის ძირითადი ცნებები, ფუნქციები და სახეები

1.1 ტურიზმი, ძირითადი ცნებები

ტურიზმი საქმიანობის სახეა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული მოთხოვნილების საქონლის მიწოდებას ადამიანის კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გადაადგილდება სივრცესა და დროში, დამოუკიდებლად მიმართულებისა, გადაადგილების საშუალებისა, მგზავრობის ხანგრძლივობისა თუ მიზნისა (ლაშქრობა, ექსპედიცია, მივლინება), მოგზაური ეწოდება, ხოლო მოგზაურობის დანიშნულების ადგილის – დესტინაციის მიმართ იგი არის ვიზიტორი – სტუმარი, სხვა ქალაქელი, უცხო ქვეყნელი, უცხოელი).

მოგზაურობა აუცილებლად გულისხმობს უკან, მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას. ამით მოგზაური განსხვავდება მიგრანტისაგან, რომელიც გადაადგილდება ახალი საცხოვრებელი ადგილისა და უკეთესი ცხოვრების ძებნის მიზნით.

ყველა სახის მოგზაურს ეწოდება ვიზიტორი. ეს ტერმინი უფრო ოფიციალური ხასიათისაა და ძირითადად ტურიზმის სტატისტიკაში გამოიყენება.

საერთაშორისო ვიზიტორები არიან პირები, რომლებიც მოგზაურობენ არა უმეტეს 12 თვის ხანგრძლივობით ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს მათ საცხოვრებელ ქვეყანას (რომლის რეზიდენტებიც არ არიან), და რომელთა მიზანი არაა ანაზღაურებადი საქმიანობის წარმოება ვიზიტის ადგილზე.

შიდა ვიზიტორები არიან პირები, რომლებიც მოგზაურობენ საკუთარი ქვეყნის შიგნით, ოღონდ მათი ყოველდღიური გარემოს გარეთ, არსებულ დესტინაციებზე არა უმეტეს 12-თვიანი ვადის განმავლობაში.

ყველა ვიზიტორი ორ კატეგორიად იყოფა:

1. ერთდღიანი ვიზიტორები: ვიზიტორები, რომლებიც ღამეს არ ათევენ ვიზიტის ქვეყანაში მდებარე განთავსების საშუალებებში. ერთდღიან ვიზიტორებს ექსკურსანტებს უწოდებენ.

2. ტურისტები: ვიზიტორები, რომლებიც ვიზიტის ადგილებში ერთ ღამეს მაინც ათევენ. ტურისტი არის ის ვიზიტორი, რომელიც არანაკლებ 24 სთ–ითა და არაუმეტეს 1 წლით ვადით გადის თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან და დროებით ადგილსამყოფელში არ გააჩნია ანაზღაურებადი საქმიანობა.

ტურიზმს სხვადასხვა განსაზღვრებები აქვს. 1980 წელს მანილაში მსოფლიო ტურიზმის კონფერენციაზე რეკომენდებული იქნა ტურიზმის განმარტება, რომლის თანახმად იგი არამარტო ეკონომიკური, არამედ ერთდროულად სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენაა. ტურიზმი უდიდეს როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრებაში.

ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის (მონტე–კარლო, მონაკო) განმარტებით ტურიზმი ზოგადი ცნებაა, რომელიც მოიცავს ადამიანთა დროებით გასვლას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გამაჯანსაღებელი მიზნით და/ან თავისუფალ დროს შემეცნებითი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ან პროფესიულ–საქმიანი მიზნით, დროებით ადგილსამყოფელში ანაზღაურებადი საქმიანობის გარეშე.

გაერო ტურიზმს განსაზღვრავს როგორც მიგრაციას, რომელიც არაა დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან ანუ ესაა მოგზაურობები, რომლებიც მოგზაურობის საწყის ადგილზე დაბრუნებით მთავრდება.

საქართველოს კანონის “ტურიზმისა და კურორტების შესახებ” მიხედვით ტურისტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით, არანაკლებ 24 საათის და არაუმეტეს ერთი წლის ვადით, რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან.

ტურისტები არიან ტურისტული მომსახურების, სამუშაოებისა და საქონლის, ანუ ტურისტული პროდუქტის მომხმარებლები. საქართველოს კანონში “ტურიზმისა და კურორტების შესახებ” ტურისტული პროდუქტი განმარტებულია, როგორც ტურისტული მომსახურების პაკეტი ტურისტული მომსახურების ძირითად ფორმათა (კვება, ღამის თევა განთავსების სხვადასხვა საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები და ა. შ.)

არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში. შესაბამისად, ტურისტული პროდუქტი, თავისი არსით, იმ მომსახურებისა და საქონლის კომპლექსია, რომელიც მთლიანობაში ქმნის მოგზაურობას ან მასთან უშუალოდაა დაკავშირებული.

ტურისტული პროდუქტი გამოდის ტურისტული საქონლის ან ტურისტული მომსახურების ფორმით. ამასთან, ზოგიერთი ტურისტული მომსახურება, თავისი სოციალურ– ეკონომიკური ბუნების გამო, მატერიალური ხასიათისაა (განთავსება, მკურნალობა, კვება), ზოგიერთი კი მთლიანად უხილავი და არამატერიალურია (ექსკურსია, შთაბეჭდილება).

ჩვეულებრივ, ტურისტული პროდუქტი მოიცავს ტურს, ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურებას და ტურისტების მიერ შესაძენ (შემენილ) საქონელს.

ტური ეწოდება ტურისტების მომსახურების კომპლექსს (ნაკრებს), რომელშიც შედის მათი მგზავრობა, განთავსება, კვება, საექსკურსიო მომსახურება, აგრეთვე გიდების და თარჯიმნების მომსახურება და სხვ. მომსახურების ეს ნაკრები გაერთიანებულია მოგზაურობის მთავარი მიზნის საფუძველზე და ტურისტებს მიეწოდება განსაზღვრულ მარშრუტზე და განსაზღვრულ დროს. მოგზაურობას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, მაგრამ ტურმა აუცილებლად უნდა დააინტერესოს კლიენტი, რომ იყიდოს იგი.

1.2 ტურიზმის ძირითადი ფუნქციები და სახეები

ტურიზმი ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. გამაჯანსაღებელი – ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენა, დამაბულობის მოხსნა, განმუხტვა, მკურნალობა;
2. შემეცნებითი – ბუნების მოვლენების, კაცობრიობის წარსულისა და თანამედროვე ისტორიის შესწავლა, ახალი კულტურის, ცხოვრების წესის, ეროვნული სამზარეულოს, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების გაცნობა და ა. შ.;

3. საგანმანათლებლო – ახალი ცოდნის შექმნა, სხვა ხალხებისა და ქვეყნების შესახებ ცოდნის გაღრმავება და ა. შ.;
4. კომუნიკაციური – პიროვნებათაშორისი კონტაქტების დამყარება;
5. შთაბეჭდილებების ცვლილებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
6. ადგილსამყოფელის ცვლილებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
7. ეკონომიკური სიკეთისა და მომსახურების მიწოდება ტურისტის მოთხოვნის შესაბამისად;
8. ადამიანის თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა;
9. დასაქმების და ცხოვრების დონის ამაღლება;
10. სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
11. ქვეყნებისა და ერების თანამშრომლობის გაღრმავება.

თანამედროვე ტურიზმი მრავალსახეობით ხასიათდება. ტურიზმის სახეებისა და მიმართულებების კლასიფიკაციისათვის ჩვეულებრივ ითვალისწინებენ ტურისტთა გადაადგილების მიმართულებას, მოგზაურთა რაოდენობას, მოგზაურობის მიზანს, გადაადგილებისა და განთავსების საშუალებებს და სხვა არსებით ნიშნებს. მოგზაურობის მიმართულების მიხედვით გაეროს მიღებული აქვს ტურიზმის შემდეგი 3 კატეგორია:

1. შიდა ტურიზმი, რომელიც მოიცავს შიდა და შემოსაყვან (შემომავალ) ტურიზმს;
2. ეროვნული ტურიზმი, რომელიც მოიცავს შიდა და გასაყვან (გამავალ) ტურიზმს;
3. საერთაშორისო, რომელიც შედგება შემოსაყვანი და გასაყვანი ტურიზმისაგან.

ტურიზმის ფორმები შეიძლება განისაზღვროს მონაწილეთა რაოდენობით. ტურიზმის პრაქტიკაში გამოყოფენ ტურიზმის 3 ძირითად ფორმას: 1. ინდივიდუალური; 2. ჯგუფური 3. საოჯახო

ტურისტთა მოგზაურობის მიზნების შესაბამისად შეიძლება გამოვყოს ტურიზმის შემდეგი სახეები:

1. რეკრეაციული ტურიზმი, რომელიც მოიცავს სანახაობით-გასართობ პროგრამებს, ტურისტულ-გამაჯანსაღებელ პროგრამებს, მეცადინეობებს ინტერესების მიხედვით;
2. სპორტული ტურიზმი, რომელიც მოიცავს წყლის, სათხილამურო, სამთო ტურიზმს;

3. სამკურნალო–გამაჯანსაღებელი ტურიზმი, რომელსაც მიეკუთვნება არა მარტო მოთხოვნა მკურნალობაზე, არამედ მისი შეხამება ტურიზმის სხვა ფუნქციებთან;
4. კულტურულ–შემეცნებითი ტურიზმი, რომელიც ეფუძნება მოთხოვნილების გაფართოებას სხვადასხვა მიმართულებით;
5. ნოსტალგიური ტურიზმი, რომლის საფუძველია მოთხოვნილება ადამიანის და მისი ოჯახის წევრების ინდივიდუალურ ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ადგილების მონახულებაზე;
6. სათავგადასავლო (ექსტრემალრი) ტურიზმი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სხვადასხვა მძაფრ სიტუაციებში თავისი შესაძლებლობების გამოცდის საფუძველზე;
7. რელიგიური ტურიზმი (მოიცავს მომლოცველობას), რომელიც ეფუძნება სხვადასხვა კონფესიების ადამიანთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;
8. მისიონერული ტურიზმი, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე სხვადასხვა სულიერი ფასეულობების გავრცელების, სულიერი მოწოდების სრული რეალიზაციისათვის;
9. მოვლენათა ტურიზმი – რომელიც ითვალისწინებს ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას რომელიმე კონკრეტულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე (დასწრებაზე) ;
10. საკომუნიკაციო ტურიზმი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას პიროვნებათაშორის კონტაქტებზე;
11. ეკოლოგიური ტურიზმი, რომელიც ეფუძნება ნაკრძალი ტერიტორიების სტუმრობას, ბუნების დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობას.
12. აგრარული (სოფლის) ტურიზმი, რომლის განვითარება აგრარულ სექტორთან და სოფელთანაა დაკავშირებული.

თავი II. ტურიზმი საქართველოში, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

ტურიზმს დღეისათვის მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისათვის, არამედ, იმავდროულად, დამატებით კიდევ არა ერთ დადებით შედეგს განაპირობებს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ქვეყნისათვის დამახასიათებელი და მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა და სახალხო რეწვის შენარჩუნებასა და განვითარებას, არაფორმალური და ფორმალური კავშირების ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას აძლიერებს, ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას საერთაშორისო არენაზე და მეგობრული, კეთილგანწყობილი მხარდამჭერების რიცხვის პროგრესულმატებას, და ა.შ. ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. საქართველოში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, მოსახლეობას მოუტანს დამატებით სავალუტო შემოსავლებს, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და ხელს შეუწყობს ქართული ტრადიციებისა და ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაციას.

როგორც მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმი და სოფლის მეურნეობა რჩება, რომელმაც პერსპექტივაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს საქართველოს ეკონომიკაში.

საქართველოში ტურიზმის განვითარება 19–20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს 20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს აღერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათასს ადგილს შეადგენდა. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ის, რომ ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80 წლებში, თავისი ფორმით და შინაარსით წარსულს ჩაბარდა. მასთანავე დაგვიტოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. საქართველოს გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. საქართველო ამჟამად აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისთვის თუ ტურისტისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისის მახლობლად, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო გახდა პირველი ევროპელის სამშობლო.

საქართველო გამოირჩევა მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსებით. მცირე ფართობის მიუხედავად (69.700კვ.კმ.), ქვეყანა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ერთ-ერთი უნიკალურია.

საქართველოში იშვიათი სუბტროპიკული ჭაობები, ნახევრად უდაბნოები, მაღალ ალპური ზონები და თოვლიანი მწვერვალები წარმოდგენილია ერთად რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით.

ქვეყანაში 12 000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული მონუმენტია, რომელთაგან 4 შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში: 1. მცხეთა - საქართველოს უძველესი დედაქალაქი 2. ბაგრატის ტაძარი (XI ს.), 3. გელათის მონასტერი ქუთაისში (XI ს.), 4. სოფელი

უმჯობესებული, სვანეთში, რომელიც ითვლება ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებად (2300მ). საქართველო მიმზიდველია სხვადასხვა ინტერესის მქონე მოგზაურისთვის. მაგალითად, ტურისტებს, რომლებიც საქართველოს დასასვენებლად სტუმრობენ შეუძლიათ არჩევანი 103 კურორტიდან გააკეთონ, მათ საშუალება აქვთ დააგემოვნონ მინერალური წყალი დაახლოებით 2400 მინერალური წყლის წყაროდან ან უბრალოდ ეწვიონ ზღვის სანაპიროს. ბუნების მოყვარულები შეიძლება დაინტერესდნენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 8 ეროვნული პარკითა და 31 დაცული ტერიტორიით. გუდაურის, ბაკურიანისა და მესტიის ზამთრის კურორტები მოთხილამურეებსა და დამსვენებელს დაუვიწყარ ზამთრისა თუ ზაფხულის დღეებს პირდება.

საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო – ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად.

დღეისათვის ტურიზმი საქართველოში განვითარების ახალ, ასე ვთქვათ საწყის ეტაპზე იმყოფება და მიმდინარე რეფორმების ფონზე, ეს პროცესი საკმაოდ მძიმედ და ნელა მიმდინარეობს. საქართველოს, თავისი ბუნებრივი რესურსებით, შეუძლია კონკურენცია გაუწიოს საფრანგეთს, ჩინეთს, ესპანეთს, იტალიას და ა.შ.

ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარება, როგორცაა ეკო ტური, ფოტო ტური, რეკრეაციული ტური, ექსტრემალური ტური, სალაშქრო ტური, მთის ველო ტური, კულტურული ტური, უფრო მრავალფეროვანს გახდის საქართველოს მიერ შეთავაზებულ ტურისტულ პროდუქტს.

საქართველოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი რომ გააჩნია ეს უცხო და ახალი არავისთვის არაა. თუმცა ეს უძველესი ქვეყანა ტურისტებისთვის ჯერ კიდევ ძალიან ახალი და აღმოუჩენელია. ტურიზმი ხომ სწორედ ის სფეროა, სადაც წარმატება სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამდენად, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ექსტრემალური, არასასურველი პირობები პირდაპირ აისახება იმ სფეროში, რომელიც ადამიანის

გაჯანსაღებას, დასვენებას, რეკრეაციას ემსახურება. უცხოელი ტურისტების ნაკლებობაზე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევაც მეტყველებს. კერძოდ, ამ კვლევის მიხედვით, თუ 2007 წელს გუდაურში ჩამოსული ტურისტებიდან 95 ამერიკელი იყო, ხოლო ბაკურიანში – 505, 2008 წელს ამერიკელი ტურისტი არც ბაკურიანში და არც გუდაურში არ ჩამოსულა. რისი მიზეზიც, რა თქმა უნდა, 2008 წლის, რუსეთ საქართველოს ომი იყო. ასევე საერთაშორისო კვლევებით, საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც დასვენება ყველაზე ძვირია.

მრავალ პრობლემას აწყდება ტურისტი უშუალოდ დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგაც. მაგალითად, რაჭაში ან სვანეთში ჩასული სტუმარი ვერსად ნახულობს სასტუმროს ან რესტორანს. იგივე ხდება ქვეყნის ეროვნულ პარკებშიც. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს PAN სტატუსი მიენიჭა, რაც ევროპის მასშტაბით მის ღირსშესანიშნავობას ადასტურებს, მაგრამ აქაც არაა ისეთი აუცილებელი ობიექტები, როგორცაა გზის მაჩვენებელი ნიშნები, საპირფარეშოები, გადაუდებელი დახმარების პუნქტები და ა.შ. დაცულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება, ძალიან მნიშვნელოვანია, არა მარტო ტურისტების მოსაზიდად, არამედ დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზრდისთვის. სწორედ სახელმწიფოს და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი მსგავსი პროექტების წარმატებით განხორციელება.


როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სისტემური ხასიათისაა არსებითად დამოკიდებულია, როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკური ფაქტორების გამოყენების ფორმაზე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვისებურებებზე.

თავი III. ზემო სვანეთის კომპლექსურ-გეოგრაფიულიდახასიათება

3.1 მდებარეობა და საზღვრები

მესტიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში და მოიცავს ზემო სვანეთს მთლიანად. ფართობის მიხედვით იგი საქართველოში მხოლოდ დუშეთის მუნიციპალიტეტს ჩამოუვარდება. მისი ფართობი შეადგენს 3044,5 კმ²-ს. მესტიის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით შემოსაზღვრავს კავკასიონის მთავარი ღერძულა ქედის მაღალი

თხემური ნაწილი, რომელიც მორფოლოგიურად დასავლეთ კავკასიონს განეკუთვნება. ეს მონაკვეთი დაფარულია მყინვარული საფარით. მუნიციპალიტეტს ჩრდილო-დასავლეთით შემოსაზღვრავს კოდორის ქედი, რომელიც ჯვრის წყალსაცავამდე გრძელდება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კი შემოსაზღვრულია ძირითადად სვანეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ოდიშის ქედებით, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით თანდათანობით დაბლდება. ადმინისტრაციული საზღვარი ზემო სვანეთს დასავლეთით აკავშირებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, რომელიც წარმოდგენილია ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტებით. სამხრეთით მესტიის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ზუგდიდის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები, ხოლო სამხრეთით და აღმოსავლეთით – რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე, კერძოდ კი ლენტეხის მუნიციპალიტეტი. ზემო სვანეთის ჩრდილოეთი საზღვარი ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ ერთეულებთან, ესენია – კრასნოდარის მხარე და ყაბარდო-ბალყარეთი.



რუკა 1. მესტიის მუნიციპალიტეტის ფიზიკური რუკა

3.2 მოკლე ზოგადგეოგრაფიული დახასიათება

გეოლოგიურად ზემო სვანეთის ქვაბულის ძირი, რომელსაც ენგურის ხეობის ფსკერი შეესაბამება, მეოთხეული ნაფენებითაა წარმოდგენილი. კავკასიონის თხემური ნაწილი, რომელიც რაიონს ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს, წარმოდგენილია პალეოზოური ასაკის გრანიტოიდებით. ფრაგმენტულად გვხვდება ასევე კამბრიულამდელი და ქვედა პალეოზოური კრისტალური ფიქლები. ჰიფსომეტრულად უფრო ქვემოთ მდინარეების: ხაიშურას, ქასლეთის, დოლრას და ლასილის ხეობები და მიმდებარე თხემური ნაწილები წარმოდგენილია ქვედა იურული თიხა ფიქლებითა და ქვიშაქვებით. ეს გეოლოგიური ფორმაცია რაიონის ტერიტორიაზე ყველაზე დიდ ფართობს იჭერს. მდინარე ენგურის ქვემო წელში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ზედა და შუა იურული პორფირიტები, ქვიშაქვები და ფიქლები.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზომიერად ნოტიო მთის კლიმატით არის წარმოდგენილი. ჰავის ტიპები მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჰიფსომეტრიულად იცვლება ზომიერად ნოტიო ხეობის ტიპის კლიმატიდან მაღალმთის მკაცრი კლიმატის ჩათვლით. იანვრის საშუალო მინიმალური ტემპერატურა შეადგენს $-19,7^{\circ}$ -ს, რომელიც გავრცელებულია ძირითადად თხემურ არეალებში. იგი კლებულობს $-1-0^{\circ}$ -მდე მდ. ენგურის ხეობის ქვედა ნაწილში. ივლისის საშუალო ტემპერატურა შედარებით მაღალია სოფ. ხაიშსა და დიხს შორის მდ. ენგურის ხეობის ქვედა ნაწილში და შეადგენს $+22-23^{\circ}$ -ს, ხოლო მინიმალურ პარამეტრს აღწევს მუნიციპალიტეტის თხემურ არეალებში, სადაც ტემპერატურა $0^{\circ}-5^{\circ}$ -ს შორის მერყეობს. არათანაბრადაა განაწილებული რაიონის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექები. საშუალო წლიური რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს ზემო სვანეთის თხემურ ნაწილებში (2000–2500 მმ. წელიწადში), ხოლო მინიმალური რაოდენობა წარმოდგენილია დაბა მესტიის ქვემოთ მდ. ენგურის მიმართულებით და შეადგენს 800–1000 მმ-ს წელიწადში.

ზემო სვანეთის ტერიტორიაზე სათავე იღებს და გაედინება საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მდინარე – ენგური. მისი მარჯვენა შენაკადებია: ჰადიში, წანერი, მესტიაჭალა, დოლრა, ნაკრა, ნენსკრა (შენაკადებით: დალარი, ცხვანდირი, ლახამულა და დარჩ–ორმელეთი) ხოლო მარცხენა შენაკადებია: ლასილი, ჰარიშურა, ლაჰილი, ხუმფრერი, ქასლეთი და ხაიშურა. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს საქართველოს ყველაზე ღრმა და გრძელი ჯვრის წყალსაცავი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში აიგო მდ.ენგურზე და არამარტო ამ

რაიონისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის ძირითად ენერგეტიკულ პოტენციალს წარმოადგენს.

მესტიის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 70–80 % ტყიან ლანდშაფტებს უჭირავს. ქედების და მათი განშტოებების თხემური და მიმდებარე ტერიტორიები სუბალპური და ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. ტყის ჯიშთა შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასიური გავრცელებით სარგებლობს მარადმწვანე ჯიშები: ნაძვი და სოჭი. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია ფიჭვნარებიც. მეზოფილურ ჯიშთა შორის აღსანიშნავია: რცხილა, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა, ნეკერჩხალი. ფრაგმენტალურად გვხვდება არყნარიც. წარმოდგენილია მარადმწვანე ტყეც. ჭყორისა და ბამგის მონაწილეობით სუბალპურ ზონაში გვხვდება „დეკიანის“ კომპლექსი.

3. 3. რელიეფი და გეოლოგიური აგებულება

საკვლევი რეგიონის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა:

1. ზემო სვანეთის ქვაბული და ენგურის ხეობა;
2. სვანეთის ქედი და მიმდებარე ტერიტორიები.

ზემო სვანეთის ქვაბული და ენგურის ხეობა ეს არის ტექტონიკურ–ეროზიული ჩაღრმავება კოდორისა და სვანეთის ქედებს შორის, რომელიც ჩრდილოეთიდან ჩაკეტილია კავკასიონის მთავარი ქედის სვანეთის მონაკვეთით. ქვაბული განედური მიმართებით ვრცელდება 100–102 კმ–ის მანძილზე (მთა ლაკუმურაშდუდიდან მთა დალარის მიდამოებამდე). ქვაბულს აქვს ერთადერთი გასასვლელი სამხრეთ–დასავლეთით სოფ. ხაიშის მიმართულებით. ქვაბული გრძელდება დაბა ჯვრამდე. ამ ტერიტორიის ყველაზე დაბალი წერტილი მდებარეობს სოფ. იდლიანთან და უდრის 500 მეტრს ზ.დ. ქვაბულის სიღრმე ათვლილი მდ. ენგურის დონიდან ქედების თხემურ ნაწილებამდე 2500–3500 მ–ის ტოლია.

ზემო სვანეთის ქვაბული განეკუთვნება მაღალმთის რთულ ქვაბულთა ტიპს, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი ოროგრაფიული (გენეზისის მიხედვით ძირითადად ეროზიული) დანაწევრებულობით. ქვაბულის გასწვრივ ღერძს წარმოადგენს ენგურის ხეობა, რომლის სიგრძე ქვაბულის ფარგლებში შეადგენს 130 კმ–ს. ეს ხეობა ყოფს ქვაბულს ფართობისა და ჰიფსომეტრიული

განვითარების მიხედვით ორ არაერთგვაროვან ნაწილებად – ჩრდილოეთი უფრო დიდი ფართობითა და ჰიფსომეტრიულად მაღალი და სამხრეთი, რომელიც შემოსაზღვრება სვანეთისა და ოდიშის ქედებით. ორივე ნაწილი დანაწევრებულია მდ. ენგურის შენაკადებით მრავალი მდინარეული ჭალებისა და ხევების სახით, რომლებიც თავის მხრივ დანაწევრებულია ზემოთდასახელებული ქედების ცალკეული განშტოებებით. ამ ხეობებს უმეტეს შემთხვევაში აქვთ მერიდიანული ან სუბმერიდიანული მიმართულება.

ზემო სვანეთის ქვაბული ძირითადად აგებულია ქვედა და შუა იურული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების წყებებით, რომელთა ფონზე ვიწრო ზოლების სახით გავრცელებულია სხვა ასაკის ფენებიც, რომელთა ლითოლოგიური შემადგენლობა განსხვავებულია. ასეთთა შორის აღსანიშნავია 1) პალეოზოური (სილურულ–ტრიასული) მეტამორფიზირებული წყება, რომელიც აგებულია თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, კვარციტებით, ფილიტებით, პორფირიტებითა და ტუფებით; 2) პორფირიტული ბაიოსული წყება (თიხაფიქლები, ქვიშაქვები, პორფირიტები, ტუფები, ტუფობრექჩიები, ტუფოკონგლომერატები, ტუბოქვიშაქვები. ასეთი გეოლოგიური აღნაგობით წარმოდგენილია სვანეთის ქედის თხემური ნაწილი და ენგურის ხეობის ზედა მონაკვეთი სოფ. ხაიშის ზემოთ; 3) მერგელების ზედაიურული ფლიშური წყება, რომელიც აგებულია მერგელური თიხებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. ასეთი აღნაგობით ხასიათდება მდ. ნენსკრის შუა ნაწილი, მდ. დოლრას ქვემო წელი, დაბა მესტიის და სოფ. უშგულის მიდამოები.

ენდოგენური მორფოლოგიური კომპლექსებიდან საკვლევი რეგიონის რელიეფის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ეროზიული, მყინვარული და დენუდაციური ფორმები. ამ რეგიონში კარსტული ფორმების როლი შედარებით ნაკლებია. წყლისმიერ ეროზიას მეზო და მიკრორელიეფის ჩამოყალიბებაში ერთ–ერთი წამყვანი როლი ეკისრება. რელიეფის მყინვარული ფორმები უფრო დამახასიათებელია მდინარეების ზემო წელისათვის (ტროგული ფორმები ეშვება 1200–1800 მ–მდე ზღვის დონიდან). ასევე მთიანი ფერდობების მაღალ სარტყელებში (ცირკები და კარები), რომლებიც განლაგებულია 2200–2400 მ–ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდ. ენგურის ხეობა თავისი დინების სხვადასხვა მონაკვეთზე ხასიათდება სხვადასხვა მორფოლოგიური თავისებურებებით. მყინვარების: შხარასა და ნამკვამის ქვედა დაბოლოებებიდან

ტროგული ველი ეშვება სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით სოფ. უშგულამდე 1950 მ-ის სიმაღლის დონემდე. აქედან იწყება კალას ხეობა.

მდ. მესტიაჭალას ხეობა ძირითადად მერიდიანული მიმართულებისაა და არის ძველი ტროგი, რომელიც ძირითადად წარმოადგენს ალუვიონის დაგროვების არეალს მის ქვედა ნაწილში, ხოლო ზემო წელში კი გამყინვარების შემდგომი სიღრმისეული ეროზიის ბაზაა. მდ. მესტიაჭალას ბრტყელი ალუვიალური ჭალა ნაწილობრივ დაკავებულია აეროდრომის ტერიტორიით, რომელიც სიგანით 1,5–2 კმ-ზე ვრცელდება.

მდ. დოლრას ხეობა, რომელიც მდ. ენგურს უერთდება 1142 მ-ის სიმაღლეზე, ძირითადად სუბმერიდიანული მიმართულებისაა. მისი შუა ნაწილი ყალიბდება კვიშისა და დოლრას მყინვარების ნაკადებით, აქვე მონაწილეობს უშბის მყინვარი (1916 მ. ზღვის დონიდან).

მდ. ნაკრის ხეობა, რომელიც მდ. ენგურის ხეობას უერთდება 890 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ასევე ძირითადად სუბმერიდიანული მიმართულებისაა. ამ ხეობის მორფოლოგია მდ. დოლრას მორფოლოგიისაგან განსხვავებით წარმოადგენილია მკვრივი ნატანი მასალის დაგროვების სიმცირით. ეს აიხსნება იმით, რომ ნაკრის ვიურმული მყინვარი მთავრდებოდა ნაკრის ხეობის ზედა ნაწილში, არ გადადიოდა რა კრისტალური კომპლექსის საზღვრის იქეთ.

მდ. ნენსკრის ხეობა ენგურის ხეობას უკავშირდება 629 მ-ზე ზღვის დონიდან. მისი ძირითადი ნაწილი მდ. ცხვანდირის შესართავიდან ქვემოთ მკაცრად მერიდიანული მიმართულებისაა. მდ. ნენსკრის აუზის ზედა ნაწილი აგებულია ძველი კრისტალური კომპლექსის ქანებით და წარმოდგენილია მეტად თუ ნაკლებად შენარჩუნებული ტროგული ფორმებით. ძირითადი ხეობის მეოთხეული ასაკის მყინვარი ეშვება თითქმის მდ. ცხვანდირის შესართავამდე მდ. ნენსკრასთან.

მდ. ენგურის ხუდონის ხეობა, რომელიც ითვლება ზემო სვანეთის ქვაბულის გაგრძელებად ენგურის დინების მიმართულებით, ხასიათდება მერიდიანული ორიენტაციით და გაჭიმულია 2 კმ-ის სიგრძეზე დაბა ჯვრამდე.

მესტიის მუნიციპალიტეტის მეორე მთავარ გეომორფოლოგიურ რაიონს წარმოადგენს სვანეთის ქედი, რომელიც არის მდინარეების: ენგურისა და ცხენისწყლის აუზთა წყალგამყოფი. იგი იწყება მთავარი წყალგამყოფი ქედიდან მთა ნამკვამთან გასწვრივი ქედის სახით და მთა

დადიაშიდან იძენს გაბატონებულ განედურ მიმართულებას მიემართება რა თავისი დაბოლოებით მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ხაიშამდე. სვანეთის ქედის საერთო განფენილობა შეადგენს 90 კმ-ს მერიდიანული მიმართულებით, ხოლო განედური მიმართულებით 75 კმ-ია. ქედის მაქსიმალური სიგანე 30 კმ-ს აღწევს. სვანეთის ქედის მნიშვნელოვან განშტოებათა შორის ყველაზე მთავარია: ბაკილდის, ტეკრაშდუდის, მეფკაშის, ხელერდის, ანაღარისა და გოლდაშის ქედები.

სვანეთის ქედის თანამედროვე გამყინვარება 29 მყინვარისაგან შედგება, რომელთა საერთო ფართობია 32,25 კმ². ყველაზე დიდი მყინვარებია: ლაილა (ლაპილი), (სიგრძე 5,5 კმ). ჭალაათი, წანერი, ტვიბერი, ცხვანდირი, შთავლერი, ლეხზირი.

3. 4. ჰავა

მესტიის მუნიციპალიტეტის კლიმატი ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებებით, აქ წარმოდგენილია როგორც ზღვის სუბტროპიკული, ისე მაღალმთის ნოტიო მუდმივი თოვლის და ყინულების, როგორც ზღვის ნოტიო, ისე ქვაბულის კონტინენტური კლიმატი.

კლიმატწარმომქმნელი ფაქტორებიდან უმთავრესია ჰიფსომეტრიული ფაქტორი, რადგან რეგიონი ზ. დ. 500 მ-დან 5068 (5203) მ-მდე ვრცელდება. ეს ფაქტორი განმსაზღვრელად მოქმედებს თერმულ რეჟიმზე. გარდა ამისა, აქაურ კლიმატზე განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენს შავი ზღვის სიახლოვე, რაც განაპირობებს რეგიონის დასავლეთ ნაწილში უხვ ნალექებს. გარდა ამისა, მესტიის მუნიციპალიტეტის უმთავრესი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორი მისი ოროგრაფიული ელემენტებია, სხვადასხვა სიმაღლის და მიმართულების ქედების სახით. შეიძლება აღინიშნოს, რომ აქაური კლიმატის ფორმირებაში გარკვეულ როლს აქაური მყინვარებიც ასრულებს.

იმის გამო, რომ რეგიონი დასავლეთის მხრიდან გახსნილია შავი ზღვიდან შემომავალი ნოტიო ჰაერის მასებისათვის, ხაიშის, ჭუბერისა და ენგურის ხეობებისათვის ბაკილდის ქედამდე ნალექების დიდი რაოდენობაა დამახასიათებელი. მაქსიმუმი ახასიათებს ხაიში-ტობარის მონაკვეთს - 2000 მმ-მდე, იანვრის საშ. ტემპერატურა -1 _ +1⁰-ია, ივლის-აგვისტოსი _ +19⁰ _ 21⁰. მესტიის მიმართულებით, ნაკრას ხეობის დასავლეთით ნალექების რაოდენობა მკვეთრად მცირდება. ბეროში აღნიშნულია 978 მმ. ნალექი, მესტიაში 931 მმ. იანვრის საშ. ტემპერატურა -6.1⁰-ია,

მესტიაში -7.6° , ივლის-აგვისტოსი ბეჩოში $+17.0^{\circ}$, მესტიაში $+16.7^{\circ}$. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -25° - 32° -მდე ეცემა, აბსოლუტური მაქსიმუმი $+34^{\circ}$ - 35° აღწევს. თოვლის მდგრადი საბურველი ნოემბრიდან აპრილამდე, ზოგან მაისამდე დევს. თოვლის სიმაღლე განსაკუთრებით მაღალია ჭუბრულას, ნაკრას, დოლრას, მესტიაჭალას, მულხურას ვარცლისებურ ხეობებში, სადაც ხდება ნამქერი თოვლის აკუმულაცია, რომელიც გაზაფხულზე ძნელად დნება, ამიტომ დიდთოვლობა უმეტესწილად მდინარეთა აკუმულაციურ ვაკეებში შეინიშნება, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილია თავმოყრილი.

ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილისათვის ნოტიო კლიმატია დამახასიათებელი, ცივი, ხანგრძლივი ზამთრით და ხანმოკლე ზაფხულით. აქ იანვრის საშ. ტემპერატურა -5° -8° -მდე მერყეობს, ხოლო აგვისტოსი კი $+10^{\circ}$ -დან $+15^{\circ}$ -მდე. აბსოლუტური მინიმუმები -300 -350 -მდე შეიძლება დაეცეს. ნალექების რაოდენობა იზრდება და 1500 - 2000 მმ-ს აღწევს. თოვლის მდგრადი საბურველი 5 - 6 თვეს ძლებს, მისი სიმძლავრე 2 - 3 მ-მდეა საშუალოდ 2000 - 2400 მმ-დან 2200 - 3200 მმ-მდე აღწევს. აქ ვრცელდება მაღალმთის ნოტიო ნამდვილ ზაფხულს მოკლებული კლიმატი, ხანგრძლივი და მძლავრი თოვლის საბურველით. იანვრის საშ. ტემპერატურა -9 -12° უდრის, ივლის-აგვისტოსი კი $+10^{\circ}$ -მდე აღწევს. აბს. მინიმუმი -30° -35° -მდე შეიძლება დაეცეს. ნალექების რაოდენობა 1500 - 2000 მმ-ია.

რეგიონის ზედა მაღალმთიან ნაწილში გვაქვს მაღალმთის ნოტიო კლიმატი მუდმივი უხვი თოვლით და კლიმატით, აქ უცივესი თვეების ტემპერატურა -12 -18° -მდეა, ივლის-აგვისტოსი კი $+1$ $+7^{\circ}$, აბსოლუტური მინიმუმი -35° -ია აღნიშნული, თუმცა შეიძლება უფრო დაბლაც დაეცეს. აქ ხშირია ქარბუქები და საშუალოდ 100 - 130 დღე წელიწადში ქარიანია.

3.5 ეკონომიკურ–გეოგრაფიული დახასიათება

ადმინისტრაციული დაყოფა. ზემო სვანეთი ანუ მესტიის მუნიციპალიტეტი იყოფა 16 საკრებულოდ. ესენია: უშგული, კალა, წვირმი, მულახი, იფარი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ცხუმარი, ბეჩო, ეცერი, ლახამულა, ფარი, ნაკრა, ხაიში, ჭუბერი. ამ 16 საკრებულოში სულ გაერთიანებულია 134 სოფელი. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქის ტიპის დასახლება – მესტია. რეგიონის ტერიტორიაზე არსებობს ორი სადაბო დასახლება – ჯვარი და ხაიში.

მოსახლეობა შეადგენს 14 ათას ადამიანს, ხოლო საშუალო სიმჭიდროვე უდრის დაახლოებით 5 ადამიანს ერთ კვადრატულ კილომეტრზე. ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით ზემო სვანეთი ფაქტიურად აბსოლუტურად ერთეროვანია და მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. ბოლო დროინდელი მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტში გვხვდება მხოლოდ 52 რუსი, 12 აფხაზი და 11 სომეხი.

მეურნეობა. მესტიის მუნიციპალიტეტი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონია. მრეწველობის დარგებს შორის ძირითადად კერძო საწარმოები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს-ები) არის წარმოდგენილი. საერთო შემოსავლის მიხედვით მრეწველობის დარგთა შორის წამყვანია ხე-ტყის მრეწველობა, რაც გამოწვეულია მესტიის მუნიციპალიტეტის ტყის რესურსული პოტენციალის არსებობით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა საერთო რაოდენობა 22-ს შეადგენს. აქედან 12 მოქმედია. მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია წარმოების კერძო სექტორში.

მესტიის მუნიციპალიტეტის სახნავის საერთო ფართობი შეადგენს 1208 ჰექტარს, ხოლო სათიბისა კი – 1875,43 ჰექტარს. საკრებულოების მიხედვით სახნავის ყველაზე დიდი ფართობით გამოირჩევა მულახის საკრებულო, სადაც სახნავის ფართობი შეადგენს 157 ჰექტარს. სათიბის ფართობის მიხედვით კი პირველია ჭუბერის საკრებულო – 208,48 ჰექტარი. ერთწლიან კულტურათა შორის რაიონის ტერიტორიაზე ყველაზე ფართო გავრცელებით კარტოფილის ნათესები გამოირჩევა. 2003 წლის მონაცემების მიხედვით კარტოფილის ნათესთა საერთო ფართობი 875 ჰექტარია. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 12 ტონას შეადგენს. ერთწლიან კულტურათა შორის აღსანიშნავია ასევე ლობიოს ნათესები, რომლის საერთო ფართობი რაიონის ტერიტორიაზე 45 ჰექტარს შეადგენს. საშუალო საჰექტარო მოსავალი კი 6 ტონას უდრის ჰექტარზე. სიმინდის ნათესთა საერთო ფართობი შეადგენს 140 ჰექტარს. საშუალო საჰექტარო მოსავალი 25 ტონაა ჰექტარზე. რაიონის ტერიტორიაზე საძოვრების საერთო ფართობი 2004 წლის მონაცემების მიხედვით შეადგენს 16714 ჰექტარს. მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 75 ჰექტარია. მარცვლოვანი კულტურებისა კი 141 ჰექტარია. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესები ჯამში 898 ჰექტარია.

მეცხოველეობის დარგებიდან განვითარებულია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, მელორეობა, მეცხვარეობა, ცხენების მოშენება და მეფრინველეობა.

განათლება. მესტიის მუნიციპალიტეტში ამჟამად არსებობს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლებლები და როგორც საველე ექსპედიციის მსვლელობის დროს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაკთა გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ, ფასიანი სასწავლებლების დაარსება მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული, რადგან მოსახლეობა უმეტესად საკუთარი მეურნეობით არსებობს და ცხოვრების დონე ძალიან დაბალია. მესტიის მუნიციპალიტეტში არსებობს 18 საშუალო სკოლა; 1 სკოლა–ლიცეუმი და 6 არასრული საშუალო სკოლა. საშუალო სკოლებში სწავლობს მთლიანად 9098 მოსწავლე; არასრულ საშუალო სკოლებში კი – 392 მოსწავლე, ხოლო სკოლა–ლიცეუმში 77 მოსწავლე. სკოლებს ხელმძღვანელობს განათლების რაიონული განყოფილება. სკოლებში სწავლის ხარისხი საშუალოა, ვინაიდან არ არსებობს სრულყოფილი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და ყველა სკოლა თითქმის სარემონტოა. ყოველწლიურად უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად გადის დაახლოებით 170–მდე ახალგაზრდა. აქედან 80% უკან რაიონში აღარ ბრუნდება.

3.6 ტურისტული პოტენციალის მოკლე დახასიათება

სვანეთი ულამაზესი მხარეა არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. საოცარია აქაური სოფლები, მუდმივად თოვლიანი მთის თვალუწვდენელი მწვერვალები, აზალის სამოვრები, საიდანაც შუასაუკუნეების კომკები ულამაზეს ხეობებს ამაყად გადაჰყურებენ, ხოლო ფრიალო კლდეებში ღრუბლები გაწოლილან. სვანეთი საჩუქარია არა მხოლოდ ლაშქრობის მოყვარულთათვის, იგი კულტურის უძველესი კერაცაა. აქ მრავლად შეხვდებით შუა ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, სალოცავებსა და ეკლესიებს, შუასაუკუნეების უნიკალურ ფრესკებსა და მონეტებს, რომლებიც ახლაც ინახება რამოდენიმე მუზეუმში.

სვანეთშია თავმოყრილი კავკასიონის უმთავრესი მწვერვალები და უმსხვილესი მყინვარები, რომელთა ჯამური ფართი 300 კვ.კმ აღწევს და ყინულოვანი ჯავშანის სახით გვირგვინით ადგას კავკასიონს. უმნიშვნელოვანესი მწვერვალებია: წურუნგალა (4220 მ). აილამა (4550 მ), შხარა (5068 მ), ჯანდა (5060 მ), გესტოლა (4860 მ), ტიხტინგენი (4620 მ). თეთნულდი (4860 მ), მაზერი (4010 მ), ჩათინი (4370 მ). აქვეა საქვეყნოდ ცნობილი ორთავა უშბას ციცაბო კლდოვანი მასივი (4700 მ). კავკასიონზე სირთულისა და სილამაზის ეტალონი უშბაა, ალპებში–მატერჰორნი(4478მ).

სვანეთის კავკასიონის თხემური ნაწილის საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 4125 მ-ია, მაქსიმალური - 5068 (შხარა), მინიმალური - 3168 (დონღუზორუნის გადასასვლელი). კავკასიონის ამ მონაკვეთზე ოცამდე სვადასხვა სირთულის უღელტეხილია, რომლებიც ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადადის. გადასასვლელების სიმაღლე 3160 მ-დან 3860 მ-მდე მერყეობს. ზოგიერთი მათგანი საპალნე ტრანსპორტისთვისაა განკუთვნილი, უმრავლესობა - ქვეითად მოსიარულეთათვის, ზოგი კი მხოლოდ ალპინისტებისათვისაა მისაწვდომი.

კავკასიონის სამხრეთის გვერდით ქედებს შორის უმაღლესია სვანეთის ქედი (უმაღლესი მწვერვალი ლაჰილი, 4010 მ), რომელიც მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფს წარმოადგენს.

მეტად მრავალფეროვანია სვანეთის მცენარეული საფარი. წიწვოვანი ტყეები 800-900 მეტრიდან გვხვდება, ხოლო ალპური სარტყელი 2450-2500-დან 3100-3200 მეტრამდე ვრცელდება. აქ გვხვდება ფართოფოთლოვანი ტყეები, რომელთა შემადგენლობაშია ქართული მუხა, კავკასიური რცხილა, ცაცხვი, მთის ნეკერჩხალი და სხვა.

საკულტო ძეგლები. მესტიის რაიონის ტერიტორიაზე სულ 43 ეკლესიაა. ყველა ეკლესიაში წარმოდგენილია ფრესკები. მათგან რამდენიმე მთელი წლის განმავლობაში მოქმედია, ხოლო დანარჩენი კი სეზონური რელიგიური დღესასწაულების პარალელურად მოქმედებს. აღნიშნულის გარდა რაიონის ტერიტორიაზე 107 სალოცავია, 311 სვანური კოშკი და 100-ზე მეტი სვანური სახლი თავისი მოწყობილობით, რომლებიც ისტორიულ-კულტურულ ძეგლებად ითვლებიან.

სვანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად სვანურ ენაზე საუბრობს. ისინი განთქმული არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობითა და შრომისმოყვარეობით. სვანები თავისებური და ამაყი ხალხია. სვანეთის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მუსიკალური ფოლკლორი. სვანური სიმღერები ძირითადად ომებს, ომის გმირებს, სახელოვან მეფეებს ეძღვნება, ბევრი სიმღერა კი წარმართულ ელემენტებსაც შეიცავს.




სურ. 1 უშგულის პანორამა თამარის კოშკებიდან

ცხრილი 1. ზემო სვანეთის ცნობილი ტურისტული ელემენტები:

ტბები	უღვირის, ქორულდის, მეზირი (ტვებიში)
მღვიმე	ზარგაში (მესტია) , შგედი ბუდებრივი გამოქვაბული.
საპიკნიკე	მესტიაში: კახური, ჰაწვალი, უღვირის უღელტეხილი, იფარი, კალის ხეობა.
საჯომარდო	მესტია ქალა, ბეჩო(შიხის ქალა), ნაკრა(ზედა წელში) უშგული
სათევზაო ტურიზმი	ჭუბერი, ლახამულა, იფარი (ადიშურა)
საცხენოსნო ტურიზმი	მესტიიდან- ჟაბეში-ადიში-იფრალი-უშგული. (5 დღიანი ტური 1 ცხენი 20 ლარი) გამყოლი 40-50 ლარი)
მჟავე წყლების ადგილები	უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტიაში 7, ლენჯერი, ცხუმარი, ეცერი.
ბუნების ძეგლები	მდ. ადიშურას სათავეებში ადიშის ყინულვარდნილი, მდ. ხალდე-ქალადის აუზის ზემოწელში,,ფერხულის ქვის”ლოდი.
სალაშქრო ხეობები	ტვიბერი-ჟაბეში, ქალაადი-მესტია, უშგული-შხარის მყინვარი, ზურულდი-მესტია, მაზერი-ტვებიში, უშბის მყინვარი.
კარვის ადგილები	ყველგან
ჩანჩქერები	დიში, მაზერში_მდუგვრა
გადმოსახედი ადგილ.	მესტიაში, ზურულდი, ჰაწვალი, გვალდი, ცხაკვაგარ, ხეშკილდი.

თავი IV. ზემო სვანეთის ახალი ტურისტული მარშრუტები



რუკა 2. სვანეთის ფიზიკური რუკა


მარშუტი 1

სოფ. ხაიში – დალარის უღელტეხილი

- სახეობა: რეკრეაციული; სათავგადასავლო (ექსტრემალური); სპორტული
- ტიპი: ჯიპ–ტური; საცხენოსნო; საფეხმავლო
- მარშუტის სიგრძე: 40–45 კმ. (ერთი მიმართულებით)
- მარშუტის ხანგრძლივობა: 3–6 დღე (მარშუტის ტიპის მიხედვით)
- დასახლებული პუნქტები: ჭუბერის თემის სოფლები – ტობარი, ლუხი, ლახამი, ლეკალმახი, ქვემო მარგი, დევრა, ლარალარი, ზემო მარგი, კარი, სგურიში, ტიტა
- მარშუტის სიმაღლეები ცვლილება: 750 მ. (სოფ. ხაიში) – 3290 მ. (დალარის უღ.)
- ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: ცხვანდირის მყინვარი და ტბა (2000მ.); დალარის მყინვარი და მყინვარული ტბა; მინერალური წყლები
- საუკეთესო პერიოდი: ივნისი – სექტემბერი

მარშუტი იწყება სოფელ ხაიშიდან და მიუყვება მდ. ნენსკრას ხეობას ჩრდილოეთის მიმართულებით. გზად გვხვდება ჭუბერის თემის სოფლები, რომელთაგან ყველაზე დიდია სოფ. სგურიში (ხაიშიდან 13 კილომეტრში). სამანქანე გზა მიდის საზაფხულე სადგომამდე ხაიშიდან 26 კმ–ზე, აქედან შესაძლებელია ცხენით ან ფეხით გზის გაგრძელება. მარშუტის დაახლოებით 30–ე კილომეტრზე მდ. ნენსკრას მარჯვნიდან უერთდება მდ. დალარი, რომელიც კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ და ცხვანდირის ქედებს შორის მიედინება. აქედან მარშუტი გრძელდება ამ მდინარის ხეობაში (დასავლეთის მიმართულებით). შესართავის სიმაღლე 1660 მეტრია ზღვის დონიდან. დალარის მარჯვენა ფერდობი ეშვება ცხვანდირის მთიდან, სადაც შესაძლებელია მყინვარისა და მყინვარული წარმოშობის ტბის მონახულება. მწვერვალის სიმაღლე 3140 მეტრია, ხოლო ტბა დაახლოებით 2000 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. შესართავიდან გზა მდ. დალარის ხეობაში გრძელდება 10–12 კმ–ზე, სადაც მდებარეობს მყინვარული წარმოშობის ტბა, ამ ტბიდან გამოდის მდ. დალარი. ტბა მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედისა და კოდორის ქედის შეერთების ადგილას (დაახლოებით 2700 მ. სიმაღლეზე) და ორივე მხრიდან მისი ნაპირების სიახლოვეს მყინვარული ენები ჩამოდის. ტბიდან დასავლეთით სადაც 1 კილომეტრში კოდორის ქედზე მდებარეობს ხიდას უღელტეხილი, რომლითაც შესაძლებელია გადასვლა აფხაზეთში, მდ. საკენის ხეობაში. ტბიდან ჩრდილოეთით კი დაახლოებით ამავე მანძილზე დალარის

უღელტეხილი კვეთს კავკასიონის ქედს და გზა გადადის რუსეთი ფედერაციაში, კერძოდ – ყაბარდო-ბალყარეთში. დაღარის უღელტეხილი, სამწუხარო პოლიტიკური მდგომარეობის გამო, აღნიშნული მარშრუტის ბოლო პუნქტია, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება მარშრუტის გაგრძელება კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე, მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.



რუკა. 3 მარშრუტი 1

მარშრუტი აკავშირებს დაბა მესტიას ბეჩოს თემის სოფლებთან მდ. დოღრას აუზში. მარშრუტის გაყოლებაზე მუდმივად ჩანს კავკასიონის ერთერთი მიუვალი და მკაცრი უშბა – მაზერის მთიანი მასივი. მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრში, გაივლის ლეხთაგის უბანში, გადის ლელეში და ხევ-ხევ მიუყვება შერეული ტყით დაფარულ აღმართს ცხაკზაგარის მთამდე. აქ ტყიანი ზოლი მთავრდება და მოძრაობა გრძელდება ალპურ მდელოებზე ლამაჯის ქედის მიმართულებით. ლამაჯზე ბილიკი ორად იყოფა: ერთი მიემართება ჩრდილოეთით - ქორულდის ტბებისკენ, მეორე - ჩრდილო-დასავლეთით - გულის უღელტეხილისკენ. ქორულდის ტბებთან შესაძლებელია მცირე ხნით გაჩერება, აქედან იშლება ულამაჯისი ჭალათის მყინვარის ხედი.



სურ.2 უშბას ხედი

მარშრუტიდან ჩანს: აღმოსავლეთით - თეთნულდის თოვლიანი მასივის ფონზე მულახის თემის სოფლები, ჩრდილოეთით - ორწვერა უშბა, სამხრეთით - სვანეთის ქედი, ხოლო დასავლეთით - გულის უღელტეხილი, რომელიც მარშრუტის ფარგლებში შედის. უღელტეხილამდე მისასვლელი გზა პატარა ქვაბულის ფორმისაა, რომელიც მცირე ზომის ხევებითა დასერილი. ქვაბულის შემდეგ გზა მიუყვება ქედს, გადადის გულის უღელტეხილზე და ჩადის საზაფხულო სადგომამდე. შემდეგ გავივლით ნასოფლარ გულს, სადაც შემორჩენილია წმ. გაბრიელის ეკლესია. აქედან გზა მიდის სოფ. ბაგვდანარამდე და შემდეგ სოფ. მაზერში. ორივე სოფელი ბეჩოს თემს ეკუთვნის და მდებარეობს მდ. დოღრას ხეობაში. მაზერიდან ბილიკი მიუყვება მდ. დოღრას კალაპოტს

სათავემდე (15კმ.). აქ მდებარეობს მყინვარული წარმოშობის პატარა ტბა, რომლის ნაპირამდეც ჩამოდის დოღრას მყინვარის ენა. ტბიდან ბეჩოს უღელტეხილამდე (3370მ.) დაახლოებით 1.5 კმ. რჩება, საიდანაც მარშუტის გაგრძელება შესაძლებელია კავკასიონის ჩრდილოეთით ყაბარდო-ბალყარეთში.


მარშუტი 3

მესტია – სოფ. ჟაბეში – მ. ტიხტენგენის ძირი

- სახეობა: სათავედასავლო (ექსტრემალური); სპორტული (ალპინიზმი)
- ტიპი: ჯიპ-ტური; საცხენოსნო; საფეხმავლო
- მარშუტის სიგრძე: 30–35 კმ. (ერთი მიმართულებით)
- მარშუტის ხანგრძლივობა: ქვეითად 3 დღე, ცხენით – 1 დღე (ერთი მიმართულებით)
- დასახლებული პუნქტები: მულახის თემის სოფლები: მაჯვდიერი, ჩვაბიანი, ცალდაში, ჟაბეში
- მარშუტის სიმაღლებრივი ცვლილება: 1450 მ. (დაბა მესტია) – 1680მ. (სოფ. ჟაბეში) – 3770მ. (სემის უღ.)
- ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: მყინვარი წანერი; მწვერვალი ტიხტენგენი; მინერალური წყლები
- კულტურული ღირსშესანიშნაობები: ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესია (XII.); ჟაბეშის მაცხოვრის ეკლესია (XI.)
- საუკეთესო პერიოდი: ივნისი – სექტემბერი

მარშუტი იწყება დაბა მესტიაში და მიუყვება მდ. მულხურას ხეობას. მესტიიდან მარშუტი ემთხვევა მესტია–უშგულის დამაკავშირებელ გზას სოფელ ჩვაბიანის გადასახვევამდე (12კმ.). აქ უხვევს მარცხნივ სოფელ ჩვაბიანში, სადაც მდებარეობს XI საუკუნის მაცხოვრის სახელობის ეკლესია. მაცხოვრის სახელობის ეკლესია (XI.) გვხვდება სოფელ ჟაბეშშიც, რომელიც ბოლო დასახლებული პუნქტია მარშუტის ფარგლებში. ამ სოფლების ირგვლივ ტერიტორია მდიდარია მინერალური წყაროებით. ჟაბეშთან წყდება სამანქანე გზა და გზის გაგრძელება შესაძლებელია ცხენით ან ქვეითად. მარშუტი მიუყვება ბილიკს, რომელიც მიემართება აღმოსავლეთით მყინვარ წანერისკენ. ბილიკიდან მარცხნივ მდებარეობს ნაშკოდრის ქედი და მწვერვალი ტვიბერი, ხოლო მარჯვნივ შესაძლებელია თეთნულდის ულამაზესი მწვერვალს დანახვა (მდინარის შენაკადის

ხეობის სიღრმეში შესვლის შემთხვევაში). ბილიკი მიდის მდ. წანერის (მულხურა) სათავემდე და შემდეგ მარცხნიდან მიუყვება მყინვარ წანერის ენას. აქ სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 2600 მეტრია. ამის შემდეგ ხდება სიმაღლის საგრძნობი მატება და სადღაც 10 კმ-ში ბილიკი გადადის სემის უღელტეხილზე, რომლის სიმაღლე 3770 მეტრია. უღელტეხილიდან მარჯვნივ კარგად ჩანს მწვერვალი ტიხტენგენი, რომლის ჩრდილოეთი კალთები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ეშვება. ეს არის მარშუტის ბოლო წერტილი, თუმცა შესაძლებელია გზის დასავლეთით გაგრძელება ყვითლოდის უღელტეხილისკენ, რომლითაც შესაძლებელია რუმეთში გადასვლა.



რუკა 5. მარშუტი 3

მარშუტი 4

მესტია – სოფ. წვირმი – სოფ. ადიში – ლარდაადის (ადშის) მყინვარი

- სახეობა: სათავგადასავლო (ექსტრემალური); სპორტული (ალპინიზმი)
- ტიპი: საცხენოსნო; საფეხმავლო
- მარშუტის სიგრძე: 35 – 40 კმ. (ერთი მიმართულებით)
- მარშუტის ხანგრძლივობა: ქვეითად 3 დღე, ცხენით – 2 დღე (ერთი მიმართულებით)
- დასახლებული პუნქტები – სოფლები: იელი, წვირმი, ადიში
- მარშუტის სიმაღლერივი ცვლილება: 1450 მ. (დაბა მესტია) – 2600მ. (მყინვარი)
- ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: საეკლესიო ტბა; ლარდაადის (ადშის) მყინვარი; მ.

თეთნულდის ხედი

- კულტურული ღირსშესანიშნაობები: წვირმის ეკლესიები; ადიშის წმ. გიორგი
- საუკეთესო პერიოდი: ივნისი – სექტემბერი



რუკა 6. მარშუტი 4

მარშრუტი იწყება მესტიის ცენტრიდან, 500 მეტრში გადადის მდინარეების მესტიაჭალისა და მულხურას ხიდებზე, შედის ტყეში და აღმართით მიუყვება გრუნტის გზას. მესტიიდან დაახლოებით მე-6 კილომეტრზე, ზღვის დონიდან 1850 მეტრზე ნასოფლარ ხეშვილდთან გზა ორად იყოფა - ერთი, მარცხენა განშტოება, სამარხილე გზით მიდის ზურულდის მთისაკენ, მარჯვენა განშტოება - მიემართება სოფელ იელისაკენ. ხელმარჯვნივ ჩანს სვანეთის ქედი და მისი დათოვლილი მწვერვალები, პირდაპირ მდინარე ენგური, რომელიც 1400 მ სიმაღლეზე ღრმა კანიონში მიედინება. მესტიიდან მეათე კილომეტრზე მარშრუტი გაივლის სოფელ იელიში. ეს ერთადერთი ადგილია დედამიწაზე, სადაც დღემდე შემორჩენილია მდინარეებში ცხვრის ტყავით ოქროს გამოლექვის ანტიკური მეთოდი (ე.წ. ოქროს საწმისი). იელიში საავტომობილო გზა მთავრდება. აქედან უკვე სამარხილე გზით მიდის სოფ. წვირმისაკენ. სოფ. წვირმი 1900 მ სიმაღლეზე, ზეგანზეა განლაგებული. იგი გამოირჩევა ეკლესია-სალოცავების სიმრავლით. წვირმიდან ბილიკი ადის უღვირის უღელტეხილზე გადაკვეთს მესტია-უმგულის საავტომობილო გზას და მიუყვება მდ. ადიშქალას ხეობას. აქედან სოფ. ადიშამდე 8 კმ-ია. სოფელი ადიში ზღვის დონიდან 2050მ. სიმაღლეზე მდებარეობს. სოფლიდან 4 კმ-ზე მდებარეობს ქუდოსანი წმ. გიორგის ეკლესია, ხოლო ეკლესიის შემდეგ – საეკლესიო ტბა. ტბის სიმაღლე ზღვის დონიდან 2180 მეტრია. აქედან სამხრეთის მიმართულებით გზა გადადის ჩხუნდერის უღელტეხილზე 2720მ. და ჩადის მდ. ხალდექალას ხეობაში. მარშრუტი კი გრძელდება აღმოსავლეთით და მალევე გამოჩნდება ადიშის ანუ ლარდაადის მყინვარი, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ადიშქალა.



სურ.3 ადიშის (ლარდაადის) მყინვარი

მყინვარის ენა ჩამოდის დაახლოებით 2600 მეტრზე. მყინვარი ეშვება ულამაზესი თეთნულდისა (4852მ.) და ადიშის მწვერვალებიდან (4300მ.). აქ მარშრუტის ბოლო პუნქტია, თუმცა შესაბამისი ჯგუფებისთვის შესაძლებელია აქ დაბანაკება და მარშრუტის გაგრძელება ანუ მწვერვალების დალაშქვრა სპეციალური აღჭურვილობის ქონის შემთხვევაში.


მარშუტი 5

მესტია – ადიში – ხალდე – უშგული – მცინვარი შხარა – ნამყვამის ტბა

- სახეობა: სათავგადასავლო (ექსტრემალური); სპორტული (ალპინიზმი)
- ტიპი: საცხენოსნო; საფეხმავლო
- მარშუტის სიგრძე: 75 – 80 კმ. (ერთი მიმართულებით)
- მარშუტის ხანგრძლივობა: ქვეითად 7 დღე, ცხენით – 3 დღე (ერთი მიმართულებით)
- დასახლებული პუნქტები – სოფლები: იელი, წვირმი, ადიში; კალას; უშგული
- მარშუტის სიმაღლეები ცვლილება: 1450 მ. (დაბა მესტია) – 2720მ. (ნამყვამის ტბა)
- ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: შხარას მცინვარი; ნამყვამის ტბა; მინერალური წყლები
- კულტურული ღირსშესანიშნაობები: ხალდეს ეკლესია; კალას კვირიკეწმინდა; უშგულის მუზეუმი, კომკები სოფ. ჩაჟაში; ლამარიას ეკლესია უშგულში
- საუკეთესო პერიოდი: ივნისი – სექტემბერი

მარშრუტის დასაწყისი სოფელ ადიშამდე ემთხვევა ზემოთ განხილულ მე-4 მარშრუტს. ადიშიდან მარშრუტი იწყება მდ. ადიშისჭალის მარჯვენა შენაკადზე და მიყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს სათავემდე ანუ ლარდაადის (ადიშის) მცნვრის ენამდე. აქედან ბილიკი მიდის სამხრეთით ჩხუტნიერის გადასასვლელისაკენ (2720მ.). ეს უღელტეხილი მდინარეების – ადიშისჭალისა და ხალდესჭალის წყალგამყოფ გვალდის ქედზე გადადის. უღელტეხილიდან ქედ-ქედ გზა ჩადის მდ. ხალდესჭალის აუზში. ქვემოთ ჩანს საზაფხულო ქოხები. 2200 მ-მდე დაშვების შემდეგ მიუახლოვდებით მდ.ხალდესჭალის კალაპოტს და დავეშვებით მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ სოფ. ხალდემდე (1900). ხალდე ტრაგიკული ისტორიით გამოირჩევა. იგი ცნობილია, როგორც მეფის რუსეთის წინააღმდეგ ამბოხების მოთავე. ამ სოფლის მოსახლეობამ სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა დამპყრობლებს, ბოლომდე იბრძოლა, რის საფასურადაც სოფელი თავის კომკებიანად პირწმინდად გაანადგურეს. სოფელი მას შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა და აქ მხოლოდ ზაფხულობით ადის რამდენიმე ოჯახი. ხალდედან კვლავ მდინარის მარჯვენა ნაპირით ბილიკი ჩადის სოფ. იფრალამდე, რომელიც კალას თემში შედის და უკვე მდ. ენგურის ხეობაში მდებარეობს. დასავლეთით, ენგურის გაღმა დაახლოებით 1,5 კმ მდებარეობს სვანეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი – წმინდა კვირიკეს ეკლესია. იფრალიდან გზა

ჩადის სოფ. ლალხორში, მიყვება საავტომობილო გზას ენგურის დინების საწინააღმდეგოდ სოფ. დავებრამდე. აქედან ადის ფერდობზე მიუყვება ფერდობს და შემდეგ ჩადის მდ. ენგურის ნაპირზე უშგულიდან 1 კმ-ის მოშორებით. აქედან მარშუტი გრძელდება საავტომობილო გზაზე და შედის უშგულის თემის სოფლებში.



რუკა 7. მარშუტი 5

- უშგული საქართველოს გამორჩეული ტურისტული ღირსშესანიშნაობაა. სიმაღლით 2050–2200 მეტრამდე მდებარეობს და ევროპის ერთ–ერთ უმაღლეს დასახლებულ პუნქტად ითვლება. უშგული ბუნებრივი მდებარეობის გამო მოწყვეტილი იყო დანარჩენ სვანეთს. ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილია ლეგენდა *ღევის ნაშენზე*, ეს არის კლდე, რომელსაც, ლეგენდის თანახმად, ენგურის ხეობა ჩაუკეტავს და სოფელი იტბორებოდა. კატასტროფის თავიდან ასარიდებლად უშგულიდან და კალაძან დაძრულა ორი ვერძი, რომლებიც საპირისპირო კუთხეებიდან დასჯახებიან კლდეს და დაუნგრევიათ. უშგულის ეტიმოლოგიას *“უშიშარ გულს”* უკავშირებენ. ისტორიულად, უშგული უბატონო თემი იყო. უშგულში გაბატონების მსურველი შვიდი თავადი მოკლეს. მათ შორის უკანასკნელი იყო ფუთა დადემქელიანი, რომელიც უშგულის ლამარიადან მთელმა სოფელმა ერთად მოკლა. ამჟამად თემის

შემადგენლობაში ოთხი სოფელი შედის – მურყმელი, ჩაჯაში, ჩვიბიანი, ჟიბიანი, რომლის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 70 კომლს შეადგენს. უშგულის თემის ერთ-ერთი სოფელი, ჩაჯაში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. ხშირია ტიპური სვანური თავდაცვითი კოშკები. მათი რაოდენობა ამჟამად 30-მდეა. უშგულის ღირსშესანიშნაობებია: უშგულის არქეოლოგიური მუზეუმი; თამარ მეფის საზაფხულო და საზამთრო კოშკები; მაცხოვრის და წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიები სოფ. მურყმელში; მაცხოვრის სახელობის ეკლესია სოფელ ჩვიბიანში; მაცხოვრის, წმ. გიორგის და მამაუფლის სახელობის ეკლესიები სოფელ ჟიბიანში; ლამარიას ეკლესია.



სურ. 4 უშგული შხარას ფონზე

უშგულის ბოლო სოფლის, ჟიბიანის თავზე გზა ორად იყოფა. მარჯვნივ სამანქანე გზა გადადის ზაგარის უღელტეხილზე და ჩადის ლენტეხის მუნიციპალიტეტში. ჩვენი მარშრუტი მიუყვება მეორე გზას, რომელიც გაუვლის გვერდით ლამარიას ეკლესიას და მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით ენგურის ხეობაში მყინვარ შხარამდე. ლამარიადან მყინვარამდე ბოლო 3 კილომეტრის გარდა სამანქანე გზა მიდის, რომლის სიგრძე 10 კმ-ია. დაახლოებით მე-8 კილომეტრზე, ენგურის გაღმა მიწიდან ამოდის მინერალური წყალი. სამანქანე გზა მთავრდება პატარა კორომთან, საიდანაც ბუჩქებში საფეხმავლო ბილიკი შედის შხარას მყინვარისკენ. მყინვარის ენის ქვეშიდან გამოდის მდ.


ენგური. ამ მონაკვეთზე ზაფხულის პერიოდში აქტიურია ქვათაცვენის პროცესი, ამიტომაც ამის ზემოთ წასვლა ფაქტიურად შეუძლებელია. ამ ადგილიდან ყველაზე კარგად და ახლოს ჩანს საქართველოს უმაღლესი მწვერვალის, შხარას თოვლიანი მთა და კალთები. მარშუტის ფარგლებში გზა ჩამოყვება ბილიკს უკან და შემდეგ გადადის ენგურის პირველივე მარცხენა შენაკადის ხეობაში. დაახლოებით სამ კილომეტრში მდებარეობს მყინვარული წარმოშობის ულამაზესი ნამყვამის ტბა – მარშუტის საბოლოო წერტილი, რომლის სიმაღლე 2700 მეტრია ზღვის დონიდან. თუმცა მარშუტის გაგრძელება შესაძლებელია ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე. ნამყვამის ტბიდან სამხრეთით ჰიფსომეტრიულად სულ რაღაც 300 მეტრით ასვლის შემთხვევაში გადავივლით 3000 მეტრიან ჭუბედიშის მწვერვალს და ჩავდივართ მდ. ლასდილისღელეს ხეობაში, რომელსაც 5 კილომეტრის შემდეგ გაკვეთს ზაგარის უღელტეხილზე გადმომამავალი უმგული–ყორულდაშის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

მარშუტი 6

6 (1) მესტია – მყინვარი ლეხზირი – თოთის უღ. – მყინვარი ტვიბერი – სოფ. ჟაბეში 6

(2) მესტია – მყინვარი ლეხზირი – ბაშილის უღ. – მყინვარი ძინალი – სოფ. ჟაბეში

- სახეობა: სათავგადასავლო (ექსტრემალური); სპორტული (ალპინიზმი)
- ტიპი: საცხენოსნო; საფეხმავლო
- მარშუტის სიგრძე: 40 – 45 კმ. (ერთი მიმართულებით)
- მარშუტის ხანგრძლივობა: ქვეითად 4 დღე, ცხენით – 2 დღე (ერთი მხარე)
- დასახლებული პუნქტები – სოფლები: დაბა მესტია, სოფ. ჟაბეში
- მარშუტის სიმაღლეობრივი ცვლილება:
 - (1) 1450 მ. (დაბა მესტია) – 3600მ. (თოთის უღ.) – 1700მ. (სოფ. ჟაბეში)
 - (2) 1450 მ. (დაბა მესტია) – 3440მ. (ბაშილის უღ.) – 1700მ. (სოფ. ჟაბეში)
- ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: მყინვარი ლეხზირი; მ. თოთი; მყინვარი ტვიბერი; ჩანჩქერები; მინერალური წყლები
- საუკეთესო პერიოდი: ივნისი – სექტემბერი



რუკა 8. მარშუტი 6

მარშუტი იწყება დაბა მესტიიდან და მიუყვება მდ. მესტიაჭალას ხეობას ჩრდილოეთის მიმართულებით. მესტიიდან დაახლოებით მე-8 კილომეტრზე ბილიკი ორად იყოფა, მარცხენა ბილიკი შედის მყინვარ ჭალაათის დაბოლოებამდე. აქ სიმაღლე ზღვის დონიდან 1630 მეტრია. მარშუტი მიუყვება ბილიკის მარჯვენა განშტოებას, რომელიც კვლავ მესტიაჭალას ხეობაში გრძელდება. მალევე ბილიკი ჩაივლის ორ მწვერვალს შორის. მარცხნივ ჩანს 3400 მ. სიმაღლის დოლლაკორის მწვერვალი, რომელიც ამავე სახელწოდების ქედის სამხრეთ დაბოლოებაზე მდებარეობს ლეხზირისა და ჭალაათის მყინვარებს შორის. მარჯვენა მხარეს კი 2450 მეტრიანი მთაა, რომლის ძირშიც საზაფხულო სადგომია. ამ მწვერვალიდან ხეები ეშვება დასავლეთით მურყვამის პატარა მყინვარისკენ. მალევე (1კმ.) ბილიკი მიადგება საქართველოს უდიდესი მყინვარ ლეხზირის ენას, რომელიც სამხრეთის მიმართულებით ეშვება და სათავეს უდებს მდ. მესტიაჭალას. მარშუტი გრძელდება მყინვარის ენაზე გამავალ ბილიკზე, მარცხენა მხრიდან გვერდს უვლის 2450 მ. სიმაღლის კიდევ ერთ მწვერვალს და გრძელდება აღმოსავლეთის მიმართულებით. აქედან დაახლოებით 8 კმ-ის მანძილზე ბილიკი ლეხზირის უკიდურეს ჩრდილოეთ დაბოლოებას მიუყვება. ამ მონაკვეთზე ბილიკს მარცხენა (ჩრდილოეთის) მხრიდან უერთდება ჯერ გარვამის,

ხოლო შემდეგ მალევე მესტიის უღელტეხილისაკენ მიმავალი ბილიკები. ეს უღელტეხილები კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს და სვანეთს ყაზარდო ბალყარეთთან (რუსეთის ფედერაცია) აკავშირებს. მესტიის უღელტეხილის გადასახვევის შემდეგ ბილიკი უხვევს სამხრეთის მიმართულებით და სადღაც 3 კმ-ში იყოფა ორად. ორივე ბილიკი გარს (სხვადასხვა მხრიდან) უვლის თოთის მწვერვალს (3950მ.) და შემდეგ ისევ ერთდება. თუმცა ბილიკები სხვადასხვა მყინვარებზე გაივლიან, ამიტომაც, ამ მონაკვეთზე, შესაბამისად ვყოფთ მარშუტის ორ ქვევარიანტს: **(1) ვარიანტი** გადადის თოთის უღელტეხილზე, რომელიც ზღვის დონიდან 3600 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. ამ შემთხვევაში მარცხენა მხარეს მოექცევა მ. თოთი (3950მ.), ხოლო ბილიკი გაგრძელდება მყინვარ ტვიბერის ენაზე. უღელტეხილიდან (1) და (2) ბილიკების შეერთებამდე დაახლოებით 3.5 კმ-ია, ანუ ამ მანძილზე მიუყვება ბილიკი ტვიბერის მყინვარს. მარშუტის **(2) ვარიანტი** მ. თოთს მარცხენა მხრიდან შემოუვლის და გადადის შედარებით დაბალ – ბაშილის უღელტეხილზე. (3440მ.) შემდეგ ბილიკი ეშვება ძინალის მყინვარზე, რომელიც ტვიბერს უერთდება (თუმცა მორენული ნაფენებით და არა ყინულის მასით). ამ ადგილას ერთდება ბილიკებიც და მარშუტი გრძელდება კვლავ სამხრეთის მიმართულებით. (2) ვარიანტი ოდნავ გრძელი გამოდის ვიდრე (1) (დაახლოებით 1 კმ-ით).

მე-XX საუკუნის დასაწყისში ამ ადგილას იკრიბებოდა ჩრდილოეთის ცირკის მყინვარები (სერი, ტვიბერი, თოთი, ბაშილი, ძინალა) და აღმოსავლეთიდან მომავალი ყვითლოდის მყინვარი. ეს თოვლ-ყინულოვანი სისტემა საქართველოში ყველაზე მძლავრ ერთიან გამყინვარებულ ზონას ქმნიდა. გასული საუკუნის მანძილზე მყინვარებმა შესამჩნევი დეგრადაცია განიცადეს – ისინი მალე მთებისაკენ იწევენ. შედეგად სერის მყინვარმა დაკარგა აქტიური კონტაქტი ტვიბერთან – მათი შეერთების ადგილი მორენული მასითაა ამოვსებული. მსგავსი სურათია ტვიბერისა და ძინალის მყინვარების შესართავთან. ყვითლოდის მყინვარი 700-800 მეტრით დაშორდა ტვიბერს და ა.შ. სამწუხაროდ, მყინვარების დისპერგირების პროცესი გრძელდება.

მარშუტის ბილიკების შეერთების ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 2600 მეტრია. აქედან მყინვარის ენა მალევე სათავეს უდებს მდ. ტვიბერს და მარშუტიც ამ მდინარის ხეობაში გრძელდება. ტვიბერის სათავესთან ახლოს აღმოსავლეთის ყვითლოდის მყინვარის გავლით ამავე სახელწოდების უღელტეხილისკენ მიდის ბილიკი, დასავლეთით კი სერის მყინვარი მოჩანს. მალევე მდ. ტვიბერის ხეობაში გვხვდება ორი ჩანჩქერი, რომელთაგან ერთ-ერთს ადგილობრივები „დადლილი ქალის ცრემლებს“ ეძახიან. ამის შემდეგ სიმაღლე თანდათან კლებულობს და მდინარის კალაპოტი შედარებით ივავებს. დაახლოებით 5 კმ-ში ბილიკი შედის

მულახის თემის სოფ. ჟაბეშში, რომელიც მარშუტის ბოლო პუნქტია. სოფელი უკვე 1600 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. აქედან დაბა მესტიაში შესაძლებელია სამანქანე გზით დაბრუნება.



სურ.5 შდუგრას ჩანჩქერი

მარშუტის ბილიკების შეერთების ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 2600 მეტრია. აქედან მყინვარის ენა მალევე სათავეს უდებს მდ. ტვიბერს და მარშუტიც ამ მდინარის ხეობაში გრძელდება. ტვიბერის სათავესთან ახლოს აღმოსავლეთის ყვითლოდის მყინვარის გავლით ამავე სახელწოდების უღელტეხილისკენ მიდის ბილიკი, დასავლეთით კი სერის მყინვარი მოჩანს. მალევე მდ. ტვიბერის ხეობაში გვხვდება ორი ჩანჩქერი, რომელთაგან ერთ-ერთს ადგილობრივები „დაღლილი ქალის ცრემლებს“ ეძახიან. ამის შემდეგ სიმაღლე თანდათან კლებულობს და მდინარის კალაპოტი შედარებით ივსება. დაახლოებით 5 კმ-ში ბილიკი შედის მულახის თემის სოფ. ჟაბეშში, რომელიც მარშუტის ბოლო პუნქტია. სოფელი უკვე 1600 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. აქედან დაბა მესტიაში შესაძლებელია სამანქანე გზით დაბრუნება.

მარშუტი 7

სოფ. ხაიში – სოფ. უსგვირი – სოფ. ყვანა – მყინვარი ლაილა – სოფ. ლეზგარა

- სახეობა: რეკრეაციული; სათავგადასავლო (ექსტრემალური); სპორტული
- ტიპი: საცხენოსნო; საფეხმავლო
- მარშუტის სიგრძე: 45 – 60 კმ. (ერთი მიმართულებით)
- მარშუტის ხანგრძლივობა: ქვეითად – 6 დღე, ცხენით – 3 დღე (ერთი მხარე)
- დასახლებული პუნქტები – სოფლები: ხაიში, ქვედა წვირმინდი, ზედა წვირმინდი, უსგვირი, ყვანა, ლეზგარა

ყვანა, ლეზგარა

- მარშუტის სიმაღლებრივი ცვლილება: 750 მ. (სოფ. ხაიში) – 2600მ. (მ. უსკურის ფერდობი) – 1400მ. (სოფ. ყვანა) – 2300მ. (მყინვარი ლაილა)

• ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: ლეშკურის ტბები; უკცრაშის ტბა; მყინვარი ლაილა; მინერალური წყლები

- საუკეთესო პერიოდი: ივნისი – სექტემბერი



რუკა 9. მარშუტი 7

მარშუტი სოფ. ხაიშიდან მიუყვება მდ. ხაიშურას ხეობას სამხრეთის მიმართულებით 2 კმ-ის მანძილზე. შემდეგ სოფელ ქვედა წვირმინდთან გადადის მარჯვენა შენაკადის – კასლეთის ხეობაში და გრძელდება აღმოსავლეთით. მდ. კასლეთის ხეობა საკმაოდ დიდი დახრილობისაა და 13 კმ-ის მანძილზე მაღლდება დაახლოებით 1100 მეტრით, 950 მ-დან (სოფ. ქვედა წვირმინდი) 2070 მ-მდე. შესაბამისად აქედან მარშუტის უმაღლეს წერტილამდე (მ. უსკურის ფერდობი – 2600მ.) გზა ყველაზე რთულად გასავლელია. ქვედა წვირმინდიდან 4 კმ-ში ბილიკი მარჯვნიდან ჩაუვლის სოფელ ზედა წვირმინდს და შემდეგ იყოფა ორად. მარცხენა განშტოება ადის საზაფხულო სადგომებზე, შემოუვლის რაკვალას ქედს და გადადის ენგურის ხეობაში. მარშუტი კი მიუყვება მარჯვენა ბილიკს და 4 კმ-ში ადის საზაფხულო სადგომებამდე (1800მ.). ბოლო სადგომიდან მალევე მარშუტი ტოვებს მდ. კასლეთის ხეობას და გრძელდება მისი მარჯვენა შენაკადის მდ. ქვიშანის ხეობაში. ამ ადგილას ამოდის მინერალური წყალი და ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან უკვე 2000 მეტრზე მეტია. მარშუტი მდ. ქვიშანს ასდევს სათავემდე ანუ 5 კმ-ის მანძილზე. ეს ყველაზე რთული მინაკვეთია, რადგან სიმაღლე ერთბაშად იმატებს დაახლოებით 500 მეტრით და ადის 2600 მეტრზე, სადაც ბილიკი მარცხნიდან გაუვლის მ. უსკურს (3300მ.). აქედან მარშუტი უკვე მდ. ლეშნურის ხეობაში გრძელდება და დაუყვება სათვიდან დაბლა, ჩრდილოეთის მიმართულებით, სოფ. უსღვირამდე. მდ. ლეშნურის სათავესთან მდებარეობს ორი ტბა. ტბების თავზე, სამხრეთით ლეშნურის უღელტეხილია (3060მ.), რომელიც ქვემო სვანეთში გადადის. მდინარის სათავიდან 5 კმ-ში ბილიკი მდინარისჭალაში შედის. აქ მარჯვენა მხრიდან უერთდება ღელე, რომლის სათავესთან საზაფხულო სადგომია. ნელ-ნელა სიმაღლე იკლებს და 1800 მეტრზე ჩამოდის. ამ სიმაღლეზე მდებარეობს სოფელი უსღვირი, რომელიც მდინარის ხეობაში, სათავიდან 10 კმ-ში მდებარეობს. სოფელში ბილიკი ორად იყოფა. მარშუტის ბილიკი მარჯვნივ გრძელდება, მარცხენა ბილიკი კი ზაგარისმთის ქედის გავლით სოფ. ხელრაში ჩადის. უსღვირიდან კვლავ სიმაღლეზე ადის გზა და გადაივლის ბეჩაშის შტოქედს. უმაღლესი წერტილი 2350 მეტრზე მდებარეობს, საიდანაც გამოჩნდება სოფ. ყვანა. უსღვირიდან ყვანამდე 6კმ-ია. სოფ. ყვანა მდ. ლაილას ხეობაში მდებარეობს. ლაილა და ლეშნური ერთდებიან და მდ. ხუმფრერს ქმნიან. სოფლიდან მარშუტი მიუყვება მდ. ლაილას ხეობას აღმა სათავემდე. მდინარის ხეობას მარჯვენა მხრიდან ბეჩაშის, ხოლო მარცხნიდან ბაშვილდის შტოქედები საზღვრავენ. მე – 4 კილომეტრზე მივადგებით უკცრაშის ტბას, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1900 მეტრია. ტბა მდინარის მარჯვენა მხარესაა, ჩვენ კი მარცხნივ დავტოვებთ და ვაგრძელებთ გზას ხეობაში სათავისკენ. ცოტა ხანში გამოჩნდება ხეობაში ჩამოწოლილი ლაილას (ლაჰილის) მყინვარი (2300მ.). მყინვარი ეშვება ამავე სახელწოდების

ულამაზესი მწვერვალიდან (4009მ.), რომელიც სვანეთის ქედის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს. ბილიკი მყინვარს მარცხენა მხრიდან შემოუვლის, შემდეგ ადის ბაშკილდის შტო ქედზე, გადაივლის ჩიჟდის უღელტეხილს და ეშვება ცხუმარის თემის სოფ. ლეზგარამდე, რომელიც 1380მ. სიმაღლეზე მდებარეობს.



სურ.6 ლაილა (ლაჰილი)

ბილიკი მყინვარს მარცხენა მხრიდან შემოუვლის, შემდეგ ადის ბაშკილდის შტო ქედზე, გადაივლის ჩიჟდის უღელტეხილს და ეშვება ცხუმარის თემის სოფ. ლეზგარამდე, რომელიც 1380მ. სიმაღლეზე მდებარეობს. უღელტეხილიდან სოფლამდე დაახლოებით 7 კილომეტრია. სოფელი აღნიშნული მარშუტის ბოლო პუნქტია. იგი უკვე ენგურის ხეობაში მდებარეობს, ზუგდიდი–მესტიის საავტომობილო გზის პირზე.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში, გარკვეული სიახლის ჭრილში, განხილულ იქნა ზემო სვანეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალი და ჩატარებული შრომის საფუძველზე განხორციელდა მცდელობა რეგიონში ტურიზმის განვითარებაში გარკვეული წვლილის შეტანის. ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი მასალა – ზემო სვანეთის ახალი ტურისტული მარშრუტების დეტალური აღწერილობა – ფართო მასშტაბით შეიძლება იქნას გამოყენებული ტურისტულ საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პრაქტიკული დანიშნულება უშუალოდ იმ ადამიანებისა თუ ტურისტული ჯგუფებისათვის, რომლებიც მოიაზრებიან ნაშრომის შედეგების პოტენციურ მომხმარებლებად, ანუ მათთვის, ვისაც სურვილი აქვს იმოგზაუროს სვანეთის მხარეში და მოინახულოს მარშრუტების ფარგლებში მოქცეული ბუნებრივი თუ კულტურული ტურისტული ატრაქციები. მიუხედავად გაწეული შრომისა, აღნიშნული საკითხი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულად და შესაძლებელია მოცემული შრომის საფუძველზე მუშაობის გაგრძელება თუნდაც ამავე კუთხით. მაგ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მარშრუტებზე თანდართული რუკების ხარისხი საკმაოდ დაბალია და საჭიროებს დეტალიზაციას. რუკების ხარისხის გაუმჯობესება, გეოინფორმაციულ სისტემაში შესრულებული საკმაოდ შრომატევადი საქმიანობის შედეგად, გაცილებით ღირებულ ელფერს შესძენს მოცემულ ნაშრომს. ავტორი დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს ამ საქმით დაინტერესებულ ნებისმიერ პროფესიონალ პირთან და მთლიანად დაუთმობს საავტორო უფლებებს. ჩემი აზრით, სვანეთში და ზოგადად საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა ნებისმიერი ქართველისთვის უნდა იქცეს ერთ-ერთ პრიორიტეტად და ამ საქმეში ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი შესაძლებლობის ფარგლებში. ჩემთვის, სწორედ ეს იყო აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის ძირითადი მოტივაცია, შეფასება კი მკითხველისთვის მომინდვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მ. “ტურიზმი”, თბ. 2003.
2. შუბლაძე ვ. “საქართველო და ტურიზმი”, 2004
3. ხარტიშვილი ლ. ტურიზმი სოფლად. «ელკანა», 2008.
4. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე ლ., «ტურიზმი- ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტი», სამეც. შრომათა კრებული, ტ. 2, №1 (46), გვ. 108-111. 2009.
5. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა, ეკოტურიზმის საფუძვლები. თბ. 2004.
6. ოქროცვარიძე ა., «ტურიზმის მენეჯმენტი», სალექციო კურსის მასალები საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის სტუდენტებისათვის. 2010.
7. ყენია რ., „ზემო სვანეთი“ : (შუა საუკუნეების ხელოვნება) : გზამკვლევი - თბ. : საქ. კულტ. მემკვიდრ. საინფორმ. ცენტრი, 2000 ("ნეკერი")
8. გობეჯიშვილი რ., „საქართველოს რელიეფი,“ თბ., უნივერსალი, 2011.
9. გობეჯიშვილი რ., „გლაციოლოგია“, თბ., [უნივერსალი], 2006.

ინტერნეტ რესურსები:

<http://ka.wikipedia.ge>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000356/Meladze%20M.pdf>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000849/avTandil%20oqrocvare.pdf>

http://www.gvg.ge/attachments_p2/38.pdf

<http://svanetitrekking.ge/eng/svanmap.htm>

საქართველოს სსრ. ტოპოგრაფიული რუკები 1942, მასშტაბი 1:100 000; 1:50 000